



## სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი არჩილ ბუკია გორის მუნიციპალიტეტის სოფელი დიცის მოსახლეობას მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდნენ. სოფელი დიცის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა სარწყავი და სასმელი წყლის მიწოდების

4 ივლისი



სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხეიძე და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი არჩილ ბუკია გორის მუნიციპალიტეტის სოფელი დიცის მოსახლეობას მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდნენ. სოფელი დიცის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა სარწყავი და სასმელი წყლის მიწოდების

დარეგულირებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მთავრობის წარმომადგენლებისგან მიიღო.

სოფელი დიცის სავარგულები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული კეხვი-ვანათის სარწყავი სისტემით ირწყვებოდა. დღეისათვის სოფელს სარწყავი წყალი მიეწოდება მექანიკური წესით მდინარე პატარა ლიახვზე ამენებული არბო-დიცის სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის სიმძლავრის გაზრდის მიზნით 2017 წელს დამონტაჟდა დამატებითი საქაჩი აგრეგატი.

შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ დიცში გამავალი საირიგაციო არხიდან წყლის მიღების მიზნით ადგილი ჰქონდა არხის დაზიანებების ფაქტებს, რამაც შეაფერხა სოფლის წყლით მომარაგების პროცესი. აღინიშნა, რომ აუცილებელია დაწესდეს სარწყავი წყლით სარგებლობის გრაფიკი, იმისათვის, რომ წყლის დებეტის სიმცირემ არ შეაფერხოს სარწყავი წყლის მოხმარება სისტემის სამოქმედო არეალში.

უახლოეს დღეებში შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელი შეხვდება სოფელ დიცის მოსახლეობას საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესების საკითხების დამატებით განხილვის მიზნით.

საირიგაციო მომსახურებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1501





## არჩილ ზუქიაშვილი ჯილბაძის სახელობის საგანგებო ადგილის მართვის სააგენტოში შეხვედრა გაიმართა

9 ივლისი



„საქართველოს მელიორაციაში“ მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმებზე ისაუბრა კომპანიის დირექტორმა, არჩილ ზუქიაშვილმა გორში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც კომპანიის რეგიონულ წარმომადგენლებთან ერთად, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

როგორც არჩილ ზუქიაშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რაც სერვისცენტრების ფუნქციური დატვირთვის გაზრდას და შედეგად, აბონენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს. ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაძლიერდება მონიტორინგის სისტემა, რომელიც სარწყავი წყლის უკანონო მოხმარების გამოვლენას უფრო ოპერატიულს და ეფექტიანს გახდის.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რწყვის სეზონის აქტიურ ფაზაში შესვლასთან დაკავშირებით, საქართველოს მელიორაცია მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, რეგიონებში შეიქმნა საკოორდინაციო შტაბები, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რწყვის პროცესს. შტაბებში თავს მოიყრის სრული ინფორმაცია, რომლის დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ, ოპერატიულად გადაწყდება სარწყავი წყლის განაწილებისა და მისი ეფექტიანი მოხმარების საკითხები.

ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ეძლევა დამატებითი ინფორმაცია მიიღოს რწყვის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ცხელი ხაზის ნომერია: 15 01

ანალოგიურ შეხვედრებს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელები ქვეყნის ყველა რეგიონში გამართავენ.





## აჩილ ზუკია სოფლის ელის, აზოსა და ქორდის მოსახლეობასთან საინჟინერო მომსახურების გაუმჯობესების საქმეზე განიხილა

14 ივლისი



შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი აჩილ ზუკია შიდა ქართლის გუბერნატორ ვახა სამხარაძესთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტში სოფლების დიცის, არბოსა და ქორდის მოსახლეობას შეხვდა და საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები განიხილა.

იმისათვის, რომ აღნიშნულ სოფლებში სარწყავი წყლის მიწოდების პროცესი დარეგულირდეს და შეფერხების გარეშე მიეწოდოს მოსახლეობას წყალი. არბო-დიცის სატუმბი სადგური 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს. ჩაირთვება 3 ტუმბო. ამასთანავე, აუცილებელია ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიცვას წყალმომხმარების გრაფიკი, რათა წყალი თანაბრად გადანაწილდეს სამივე სოფლის ფართობებზე.

სოფელი დიცის სავარგულები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული კვები-ვანათის სარწყავი სისტემით ირწყვებოდა. დღეისათვის სოფელს სარწყავი წყალი მიეწოდება მექანიკური წესით მდინარე პატარა ლიახვზე აშენებული არბო-დიცის სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის სიმძლავრის გაზრდის მიზნით 2017 წელს დამონტაჟდა დამატებითი საქაჩი აგრეგატი.





## აფხანაურის საინჟინერო სისტემის რეაბილიტაცია და დასრულება

15 ივლისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტში აფხანაურის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტი განახორციელა.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 5 კმ-მდე მაგისტრალურ არხს, მოეწყო მილხიდები და წყალსარეგულაციო კვანძები. გაიწმინდა წყალმიმყვანი და გამანაწილებელი არხები ჯამში 3,2 კმ. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტში წყალუზრუნველყოფილია სოფ. ფერსათისა და ვარციხის 250 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2012 წლიდან იმერეთის მხარეში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 17 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. შედეგად, წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 13 765 ჰექტრამდე, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი 4 450 ჰექტრამდეა გზარდილი.







## არჩილ ბუკიას სართიქალაქი მოსახლეობას შეხვდა

16 ივლისი



სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, არჩილ ბუკიამ, სართიქალაქში სარწყავი არხები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს სარწყავ სისტემებზე არსებული ვითარება და რწყვის სეზონის მიმდინარეობა. შეხვედრაზე ბუკიამ ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია რეგიონალური შტაბების შექმნასა და ცხელი ხაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად ოპერატიულად მოხდეს რწყვის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის საკითხის მოგვარება.

ქვემო ქართლის რეგიონში 2012 წლიდან განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 27 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად, წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 46 255 ჰექტრამდეა გაზრდილი.





## ჰაჩისისა და ტოხანიერის სარწყავი სისტემების ჩაახილვა

18 ივლისი



სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ იმერეთში ვარციხისა და ტოხანიერის სარწყავი სისტემების სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს. მიმდინარეობს მაგისტრალური არხების, I რიგის გამანაწილებლების, დამშრობი ღია სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდება ვარციხისა და ტოხანიერის მაგისტრალურ არხებს საერთო სიგრძით 15 კმ. მოეწყობა სხვადასხვა სახის ტიპური წყალგამშვები ნაგებობები, მილხიდები, დახურული ფოლადის და რკ/ბეტონის მილსადენები. აღდება საკოლექტორო არხი სიგრძით 6,5კმ. ტოხანიერის არსებული მიწის არხი ნაწილობრივ მოპირკეთება მონოლითური ბეტონით. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 5 სოფლის (როკითი, დიდველა, ვარციხე, წითელხევისა და როხის) 820 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება სარწყავი წყლით უზველყოფილი. მიმდინარე სამუშაოები "საქართველოს მელიორაციის" გენერალურმა დირექტორმა, არჩილ ბუკიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 2,196,280 ლარს შეადგენს 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება.





## სოფელი ოჯიოს გამანაწილებელი არხის რეაბილიტაციის I ეტაპი დასრულდა

27 ივლისი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ახმეტის მუნიციპალიტეტში ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სოფელ ოჯიოს გამანაწილებლის სარეაბილიტაციო პროექტის I ეტაპი დაასრულა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო 4 კილომეტრამდე დახურული საირიგაციო ქსელი. მიმდინარეობს შიდა კვლების მოწყობის სამუშაოები, რაც ფერმერებს საშუალებას აძლევთ უშუალოდ ნაკვეთებამდე მიიყვანონ წყალი.

აღდგენილი საირიგაციო არხი „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, არჩილ ბუკიამ დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტში წყალუზრუნველყოფილია სოფ. ოჯიოსა და ხორხელის 150 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. პროექტის II ეტაპის განხორციელების შემდეგ მუნიციპალიტეტში დამატებით 150 ჰექტარი გახდება სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი.







## ქვემო ქართლის რეგიონის სამსახურის უფროსი რწყვის პროცესს გაეხსნა

12 აგვისტო

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ქართლის რეგიონალური სამსახურის უფროსმა, დავით კიკოლაშვილმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტში სარწყავი არხები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს სარწყავ სისტემებზე არსებული ვითარება და რწყვის სეზონის მიმდინარეობა. კიკოლაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია რეგიონალური შტაბების მუშაობასა და ცხელი ხაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად ოპერატიულად მოხდეს რწყვის პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის საკითხის მოგვარება.








## ოკამის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია

25 აგვისტო



300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ოკამის სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო პროექტი. აშენდა ახალი სატუმბი სადგური ტუმბო აგრეგატებით. აღდგა ძველი არსებული კაშხალი, წყალმიმღები ჭა, რეზერვუარი, კაშხალსა და სატუმბ სადგურს შორის არსებული კედელი. ჩატარებული სარეაბილიტაციო პროექტის შედეგად მუნიციპალიტეტში 4 სოფლის - ოკამის, ქარცების, აფნიასა და გოგაშენის მოსახლეობა ისარგებლებს აღდგენილი საირიგაციო მომსახურებით. პროექტი, რომლის ღირებულებაც 444 444 ლარს შეადგენს, მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება.







## ავრანლო-გუმბათის საინჟინო სისტემის რეაბილიტაცია

10 სექტემბერი



სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ წალკის მუნიციპალიტეტში ავრანლო-გუმბათის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება მაგისტრალურ და I რიგის გამანაწილებელ არხებს. 10 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი მოპირკეთდება ბეტონით; აღდგება სათავე ნაგებობისა და წყალაღების კვანძი; მაგისტრალური არხის საპროექტო კვეთი; არსებული წყალგამყოფი და წყალგამტარი ნაგებობები; საკარმიდამო ნაკვეთებში მოეწყობა გამანაწილებელი ქსელი. მიმდინარე სამუშაოები შპს „საქართველოს მელიორაციის“ ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის უფროსმა, დავით კიკოლაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მუნიციპალიტეტის 5 სოფლის 1100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი. პროექტი, რომლის ღირებულებაც 1 754 998 ლარს შეადგენს, 2017 წლის ბოლოსთვის დასრულდება.





## ქაზანთის სანაყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

24 სექტემბერი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ქართლში კაზრეთის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს. პირველ ეტაპზე მაგისტრალური არხის 4 კილომეტრამდე ფილტრაციული მონაკვეთი რკინა-ბეტონით მოპირკეთდება. პროექტის სრულად განხორციელების შედეგად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის 1045 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდების რეჟიმი. გაუმჯობესებული საირიგაციო მომსახურებით მუნიციპალიტეტის 10 სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს.

სამუშაოების პირველი ეტაპი, რომლის ღირებულებაც 236 953 ლარს შეადგენს 2017 წლის ბოლოსთვის დასრულდება.







## არჩილ ზუკიაშვილი საინჟინრო კომპანია IGH-ის წარმომადგენლებთან შეხვედრა გახდით

25 სექტემბერი



შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი არჩილ ზუკიაშვილი ხორვატიული საინჟინრო კომპანია IGH-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ოლივერ კუმრიხს და კომპანიის წყლისა და გარემოსდაცვითი დეპარტამენტის დირექტორს, მიროსლავ ბლანდას შეხვდა. შეხვედრაზე არჩილ ზუკიაშვილმა სტუმრებს საქართველოს მელიორაციის განვითარების გეგმებზე, განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია.

საინჟინრო კომპანია IGH დაინტერესებულია საქართველოში საქმიანობის გაფართოვებით. IGH ხორვატიაში ახორციელებს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის პროექტირებასა და ზედამხედველობას. ასევე, პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას. დღევანდელი შეხვედრა ემსახურებოდა IGH-ის ახალ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების განხილვასა და ევროპული სტანდარტების დანერგვაში დახმარების შეთავაზებას.

შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო, სადაც სამომავლო თანამშრომლობასა და პერსპექტივებზე ისაუბრეს.